

# კაპაბლანკას სტილში...

### ნონას ბადალი არ ჰყავს

**სოხუმი**, 22 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.), ქალთა საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირის IX ტურში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა გაფრინდაშვილმა კელერ-გერმანთან. ლაზიერის გამბიტის გათამაშების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა მიიღეს დაახლოებით თანაბარი პოზიცია. გაფრინდაშვილმა თანდათან დაიპყრო ღია ხაზი, რაც საკმარისი აღმოჩნდა ინიციატივის ხელში ჩასაგდებად.

მსოფლიო ჩემპიონმა აღნიშნული მიკროსკოპული უპირატესობა თანმიმდევრულად გაზარდა და გონივრული მანევრებით მთლიანად შებოჭა კელერ-გერმანის ისედაც სუსტად გავითარებული პოზიცია.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელი მოჭადრაკე კრიტიკულ მომენტში იშვიათი სიზუსტით იცავდა თავს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მოახლოებული კატასტროფის აცილებისთვის და 32-ე სვლაზე, როცა დაფაზე გაუცვლელი იყო თითქმის ყველა ფიგურა, კელერ-გერმანმა გააჩერა საათი და გამარჯვება მიულოცა გაფრინდაშვილს.

პარტიის დამთავრების შემდეგ გერმანელმა მოჭადრაკემ [illegible], რომ იგი ტურის დაწყებამდე მთელი 3 საათი ფიქრობდა დებიუტის არჩევაზე და, საერთოდ, საგანგებოდ ემზადებოდა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრისთვის.

— მე ვერაფერი გავაწყე კაპაბლანკას სტილში მოთამაშე გაფრინდაშვილთან, — თქვა კელერ-გერმანმა.

საერთო აზრია, რომ აღნიშნული პარტია ტურნირში დაიმსახურებს ლამაზი თამაშის სპეციალურ პრიზს.

კარგი რევანში აიღო ალექსანდრიამ ჩაიკოვსკაიასთან საქართველოს 1964 წლის პირველობაზე დამარცხებისთვის. შავებით მოთამაშე ალექსანდრიამ ცუდად გაითამაშა დებიუტი და დაკარგა როქის საშუალება, მაგრამ მან მაინც შეძლო გადაეყვანა პარტია მისთვის ხელსაყრელ ენდშპილში (ორი კუს უპირატესობა), გაცვალა ეტლები, დაიტოვა კუ მხედრის წინააღმდეგ და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

რუმინეთის ჩემპიონმა ტეოდორესკუმ დაამარცხა კარაკაში (უნგრეთი).

ნედელკოვიჩ — ბუცხრიკიძის, ასენოვა — რანიკუსა და ბიკოვა — ბელავენეცის პარტიები გადაიდო.

* * *

დღეს, X ტურში ყურადღების ცენტრში იყო გაფრინდაშვილისა და ნედელკოვიჩის პარტია. მსოფლიო ჩემპიონმა ძველ-ინდურ დაცვაში აქტიური პოზიცია მიიღო. შემდგომში გაფრინდაშვილმა მოიგო ხარისხი და ნედელკოვიჩი 45-ე სვლაზე დანებდა. საგულისხმოა, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ამ გამარჯვებით ნედელკოვიჩთან პირადი შეხვედრების ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

ჩაიკოვსკაიამ რანიკუსთან პარტიაში აირჩია სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტი. მოწინააღმდეგეებმა როქი სხვადასხვა მხარეს გააკეთეს. მალე რუსთაველმა ოსტატმა ორი პაიკი მოიგო, შემდეგ ხარისხი, და როდესაც რანიკუსათვის ლაზიერის დაკარგვა გარდუვალი გახდა, იგი დანებდა.

ბუცხრიკიძემ დაამარცხა ასენოვა, ალექსანდრია—ტეოდორესკუს პარტია ყაიმით დამთავრდა.

ბიკოვას კელერ-გერმანთან გადადებულ პარტიაში უარესი მდგომარეობა აქვს, ხოლო კარაკაში ბელავენეცთან შეხვედრაში ეტლების ენდშპილში ზედმეტ პაიკს ინარჩუნებს.

**თ. გიორგაძე**

* * *

სურათებზე: ზევით — ნ. გაფრინდაშვილი. ქვევით — ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილენი სოხუმის ნავსადგურში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 100 (2463) ◉ შაბათი, 23 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.


## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1964 წლის 19 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი, 1964 წლის 20 მაისი.

## ბოლო ტურის წინ

**გაფრინდაშვილი** — 9,5 ქულა; **ჩაიკოვსკაია** — 6,5 ქულა; **რანიკუ** — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია; **ნედელკოვიჩი** — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია; **კელერ-გერმანი** — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია; **ბუცხრიკიძე** — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია; **კარაკაში** — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია; **ტეოდორესკუ** — 4 ქულა; **ასენოვა** — 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია; **ბელავენეცი** — 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია; **ალექსანდრია** — 3,5 ქულა; **ბიკოვა** — 1,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.



## ახალი რესპუბლიკური

ლესელიძე. (ტელეფონით). აქ, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური მძლეოსანთა ნაკრების კანდიდატთა შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი ი. დიაჩკოვი. მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა აითვისა ფიბერგლასის ჭოკით ხტომა და შეძლო გადაელახა 4,40 მეტრი სიმაღლე, რითაც დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი. აღსანიშნავია, რომ ი. დიაჩკოვმა ადრე ოსტატის ნორმატივები შეასრულა ათჭიდსა და 110 მეტრზე თარჯრბენში, ხოლო ახლა ჭოკით ხტომაშიც.

## შუა აზიის მრავალდღიანი

ტაშკენტი. (საკდესი). შუა აზიის გზატკეცილებზე დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა, რომელიც მიეძღვნა უზბეკეთის სსრ და უზბეკეთის კომპარტიის 40 წლისთავს. მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში — ძლიერ სიცხესა და მტვრიან ქარიშხალში — სპორტსმენებმა დაფარეს 1.112 კილომეტრი 37 კმ საშუალო სიჩქარით საათში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზი დაისაკუთრა უზბეკეთის კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ნოვოსიბირსკის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — ტაჯიკელი ველოსიპედისტები. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ა. დულინმა (უზბეკეთი). მისი დროა — 29:52.6,6.

## ეკრანზე არიან ინსბრუკის გმირები

მოსკოვის დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ მოამზადა ფილმი „ინსბრუკის ოლიმპიადაზე". ამ ფილმში თავმოყრილია კინომოყვარულ ტურისტთა მიერ გადაღებული კადრები. ისინი ოლიმპიური თამაშების საკმაოდ სრულ სურათს ქმნიან.

ფილმში ნაჩვენებია ჰოკეისტთა ტურნირი, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. აგრეთვე კადრები, რომლებიც სათხილამურო რბენის ბატალიებზე მოგვითხრობენ. კარგად არის გადაღებული მოციგურეთა გამოსვლებიც. 30-წუთიანი ფილმი ოლიმპიური ტრამპლინიდან ხტომის ჩვენებით მთავრდება.

ახალი დოკუმენტური ფილმი მალე გამოვა ეკრანებზე.

## უკანასკნელ საათს...

31 მაისს ლაიფციგში შედგება ოლიმპიური ტურნირის პირველი შერჩევითი მატჩი სსრ კავშირისა და გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ გუშინ ფიფა-ს გაუგზავნა ნაკრები გუნდის განაცხადი, რომელშიც შევიდნენ: მეკარეები — ბაუჟა, ურუშაძე, ლისიცინი; მცველები — მუდრიკი, კორნეევი, შესტერნიოვი, გლოტოვი, შუსტიკოვი, ანიჩკინი, დანილოვი, პონომარიოვი; ნახევარმცველები — ჩიბა, მასლოვი, ტურიანჩიკი, შიკუნოვი; თავდამსხმელები — ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, სევიდოვი, მალაფეევი, ლობანოვსკი, კოპაევი, ბურჩალკინი.

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდებოდა მოკრივეთა საკავშირო შერჩევითი ასპარეზობა. პირველთანრიგოსან რაზმაძისა და სპორტის ოსტატ ტიშჩენკოს (საბჭოთა არმია) შეხვედრა ქართველი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა. სპორტის ოსტატ ზებულაშვილისა და ოვანესიანის (ერევანი) ორთაბრძოლა მსაჯებმა მეორე რაუნდში შეწყვიტეს თბილისელი მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო. მამამთავრიშვილმა მოუგო ვორობეცს (ლვოვი). სვანიძე დამარცხდა ტაშკენტელ ხარლამპიდისთან.

პარდუბიცე. გუშინ გაიმართა მშვიდობის ველორბოლის XII ეტაპი ლიბერეცი — პარდუბიცე. 189-კილომეტრიან ეტაპზე ბრძოლა ძალიან მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა.

ფინიშზე პირველი იყო ახალგაზრდა პოლონელი ველოსიპედისტი გიეზდა.

მეორე ადგილი დაიკავა ცნობილმა საბჭოთა სპორტსმენმა კაპიტონოვმა.

რბოლის ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი სმოლიკი. გუნდურ ჩათვლაში ისევ წინ არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტები.

**ლვოვი.** გუშინ აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კარპატი" და თბილისის „ლოკომოტივი".

მატჩი დამთავრდა ლვოველთა გამარჯვებით — 2:1.

• • •

**გუშინ** გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა კალენდარული მატჩები. დუშანბეს „ენერგეტიკმა" წააგო (0:1) შეხვედრა ოდესის „ჩერნომორეცთან", კრასნოდარის „ყუბანმა" დაამარცხა ქ. კალინინის „ვოლგა" (2:0), ლუგანსკის „ზარიამ" მოუგო ტაშკენტის „პახტაკორს" — 1:0, ხოლო დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" დიდი ანგარიშით (1:5) წააგო ოდესის სკა-სთან. ტალინის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

**ლენინგრადი.** საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა აქაურმა სპორტსმენმა ლარისა ვიქტოროვამ 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მისი შედეგი — 10.43,2 — მოსკოველ ნ. მიხაილოვას ძველ მიღწევაზე 2,6 წამით უკეთესია.

ამსტერდამი. საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის III ტურში შეხვედრათა უმეტესობა ყაიმით დამთავრდა. ასეთი შედეგი აღინიშნა პარტიებში ბრონშტეინი — სპასკი, ტალი — შტეინი, ტრინგოვი — სმისლოვი, რეშევსკი — ბილეკი, ლარსენი — გლიგორიჩი, დარგა — პახმანი, ლენდიელი — პორტიში.

ევანსმა მოუგო ბერგერს, პორატმა — როსეტოს.

**რომი.** 20 და 21 მაისს მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დ' იტალიის" მონაწილეებმა ყველაზე მოკლე ეტაპები გაიარეს. მანძილი პარმსა და ბუსეტოს შორის მხოლოდ 50 კილომეტრია. აქ გათამაშდა პირველობა დაყოფილი სტარტით. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ფრანგმა ჟ. ანკეტილმა. ინდივიდუალურ რბოლაში მას, საერთოდ, ბადალი არ ჰყავს. ხუთი ეტაპის შემდეგ ლიდერი ჟ. ანკეტილი გახდა.

მეექვსე ეტაპის (პარმა — ვერონა) სიგრძე 100 კილომეტრს არ აღემატებოდა. ფინიშთან ერთდროულად 100-მდე ველოსიპედისტი მივიდა. გადამწყვეტი სპრინტი იტალიელმა ვ. ბარივიერამ მოიგო.

ექვსი ეტაპის შემდეგ ლიდერის წითელ მაისურს ჟ. ანკეტილი ინარჩუნებს. მეორე ადგილზეა იტალიელი გ. დე როსო, რომელიც გამარჯვებულს 30 წამით ჩამორჩება. ძველმა ლიდერმა ე. მოზერმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა.



თბილისის „დინამოს" ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირველობა ცურვაში. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაძაბული ბრძოლა გაიმართა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პრიზიორ ი. გიორგობიანსა და სპორტის ოსტატ გ. კორბუკოვს შორის. გაიმარჯვა გიორგობიანმა — 59,3. კორბუკოვი მას მხოლოდ 0,3 წამით ჩამორჩა. ქალთა შორის პირველი იყო თბილისელი ვ. დოვგალოვა — 1.17,7.

ორი გამარჯვება მოიპოვა რიგითმა ვ. ბოჩკანოვმა (ბაქო). იგი პირველი იყო 200 მეტრზე ზურგზე და ბატერფლაით ცურვაში. ორი პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისელმა გ. კორბუკოვმაც — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით და კომპლექსურ ცურვაში.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: ბაქო, თბილისი, ერევანი.

სურათზე: სპორტის ოსტატი ი. გიორგობიანი დისტანციაზე.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

# სტუდენტთა თამაშები

სტუდენტთა მესამე საზაფხულო რესპუბლიკური თამაშების პროგრამაში სპორტის 18 სახეობაა შეტანილი. როგორც ვიუწყებოდით, აქედან ოთხში (კრივი, ველოტრეკი, სპორტული ტანვარჯიში და ჭადრაკი) შეჯიბრებები უკვე დამთავრდა.

გუშინ, ჩვენი დედაქალაქის სტადიონებსა და მოედნებზე პირველი სტარტები აიღეს მძლეოსნებმა და ველოსიპედისტებმა, გაიკვალა საცურაო ბილიკები, მოფარიკავეებმა იარაღები გადააჭდვეს, ახმაურდა ფიცარნაგი, მოედნებზე გამოვიდნენ ჩოგბურთელები, კალათბურთელები, ხელბურთელები... ამგვარად, საუკეთესო სპორტული კოლექტივის სახელის მოპოებისათვის ბრძოლაში სტუდენტთა უკვე ძირითადი მასა ჩაება. პირველმა სტარტებმა და შეხვედრებმა ბევრს სიხარული მოუტანა, ბევრს კი მარცხის სიმწარე. აი გუშინ ნაჩვენები პირველი შედეგები:



**მძლეოსნობა.** საქართველოს 18 უმაღლესი სასწავლებლიდან მძლეოსანთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ერთმეტმა მოავლინა გუნდი. სოხუმის, ბათუმის, თელავის პედაგოგიური, თბილისის ზოოვეტერინარული, თეატრალური ინსტიტუტების, აგრეთვე სამხატვრო აკადემიისა და კონსერვატორიის ფიზაღზრდის კათედრებმა თავი აარიდეს ღონისძიებას. იმათაც კი, რომლებიც უძლიერესი კოლექტივის სახელისთვის ბრძოლაში ჩაებნენ, ყველაფერი როდი აქვთ რიგზე. ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში მარტო უცხო ენების ინსტიტუტმა გამოიყვანა ერთადერთი მონაწილე (ლ. კოტოვა), რომელსაც მხოლოდ „თავის თავთან" უხდებოდა ბრძოლა და შედეგიც არასახარბიელო (2.30,6) აჩვენა, ხოლო ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ი. ხეთაგუროვამ (მედინსტიტუტი), 400 მ რბენაში ხუთმა და 100 მ რბენაში თერთმეტმა სპორტსმენმა ჩათვლები ვერ მისცეს გუნდებს.

პირველი დღის პროგრამიდან საინტერესო იყო მხოლოდ სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა ორთაბრძოლა სპორტის ოსტატებს თ. მდივანსა (უნივერსიტეტი) და ი. ჩირიკაშვილს (ქუთაისი, პედინსტიტუტი) შორის. გაიმარჯვა თ. მდივანმა. მან ადვილად დაძლია 2 მ სიმაღლე და იერიში მიიტანა პირად რეკორდზე (205 სმ). სპორტსმენი ახლოს იყო 206 სანტიმეტრის დაძლევასთან, მაგრამ ამოცანა განუხორციელებელი დარჩა.

კარგად გამოვიდა უნივერსიტეტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ლ. იევლევა, რომელმაც ორი გამარჯვება მოიპოვა. მან ყველას აჯობა 80 მ თარჯრბენში (პირველი თანრიგის შედეგით) — 11,1 წამი და სიგრძეზე ხტომაში, სადაც აჩვენა ოსტატის ნორმატივი — 6 მეტრი.

პირველ დღეს თამაშების ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის 100 მ რბენაში — ნ. ნოზაძე (ფიზკ. ინსტ.) — 12,8, 400 მ რბენაში — ლ. თოფჩიშვილი (გორის პედინსტიტუტი) — 58,2, ბირთვის კვრაში მ. დიაჩკოვა (უნივერსიტეტი) — 13,42 მეტრი, სიმაღლეზე ხტომაში — ლ. პატარიძე (ფიზკ. ინსტიტუტი) — 155 სმ. ვაჟთა შორის 100 მ რბენაში — ვ. სანეევი (სოხუმის სუბტრ. ინსტ.) — 11,4 წამი, 110 მ თარჯრბენში — რ. ქვაჩაკიძე (უნივერსიტეტი) — 15,0, სიგრძეზე ხტომაში — რ. ქვაჩაკიძე — 7.22 მ, ბირთვის კვრაში — მ. ოყროშიძე (უნივერსიტეტი) — 16.38 მ.



**ხელბურთი.** ვაჟთა შორის მონაწილეობს 8 კოლექტივი, ქალთა შორის — 6. ეს, რაც შეეხება მონაწილეთა რაოდენობას. მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღება იმაზე გვსურს გავამახვილოთ, რომ ხელბურთელთა ასპარეზობა საკმაოდ არაორგანიზებულად დაიწყო.

საქმე იმაშია, რომ კიროვის სახელობის პარკში ხელბურთელთა მოედანი უკვე რამდენიმე თვეა რემონტშია და მის დასრულებას საშველი არ დაადგა. ვფიქრობთ, რომ ქალაქის სპორტკავშირის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს (უფროსი ნ. პაშიკოვი) მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდა ხელი მინდობილი საქმისთვის. კიროვის სახელობის პარკის მოედანზე სამუშაო ქვიშის მოყრით მოათავეს...

თამაშებში მონაწილე გუნდებს გამოუყვეს სამედიცინო ინსტიტუტის ერთი მოედანი, რომელიც სრულად ვერ აკმაყოფილებს შეჯიბრების ნორმალურად ჩატარების მოთხოვნებს.

გარდა ამისა, სტუდენტთა კოლექტივებში გაფანტული არიან თბილისის „ბურევესტნიკის" ნაკრების წევრები, ხოლო გუნდს უახლოეს ხანში საერთაშორისო შეხვედრები ექნება უნგრეთის ეროვნულ გუნდთან. თავისთავად თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ნაკრების ყველა წევრისთვის ერთგვარად კარგი მოსამზადებელი საშუალება იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ იგი ნორმალურ პირობებში ჩატარდებოდა. ასეთ საპასუხისმგებლო ვითარებაში ხელბურთელებს უარი უთხრეს კიროვის სახელობის პარკის გადახურულ მოედანზე დაშვებაზეც კი, აქაოდა, მეორე გადაუხურავ მოედანზე კალათბურთელები ვერ ითამაშებენო.

ქვემოთ მოგვყავს ხელბურთელთა ასპარეზობის პირველი დღის რამდენიმე მატჩის ტექნიკური შედეგი:

**ვაჟები.** I ქვეჯგუფი—საქართველოს პოლიტექნიკური და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტები — 36:11, სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი — 37:30; II ქვეჯგუფი — სასოფლო-სამეურნეო და გორის პედაგოგიური ინსტიტუტები — 25:12; **ქალები** (აქ შეჯიბრება ტარდება წრიული სისტემით) — ბათუმისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტები — 5:2.

გაზეთ „ლელოს" ბრიგადა

# სპორტის პროპაგანდა — მაღალ დონეზე

## იმსჯელეს აქტუალურ საკითხებზე

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის განყოფილების ლექტორიუმში შედგა საქართველოს სპორტკავშირის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციების (ლექციური პროპაგანდის, სპორტული პრესისა და რადიოს, სპორტული კინოსა და ტელეხედვის, თვალსაჩინო პროპაგანდის) გაერთიანებული პლენუმი, რომელზეც მოხსენებით — „ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე" — გამოვიდა რესპუბლიკის სპორტკავშირის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი **თ. მანაგაძე.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სპორტსმენთა მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანეს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციებმა. აღსანიშნავია ლექციური პროპაგანდის ფედერაციის მუშაობა, რადგან ჯერჯერობით ეს ფორმა ყველაზე უფრო ქმედითია. ამ მხრივ გარკვეული წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი რიგზეა. ლექციების თემატიკა ხშირ შემთხვევაში შეზღუდულია. სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები რატომღაც არ იყენებენ სპორტის ზეპირი პროპაგანდის დიდმნიშვნელოვან საშუალებას. წარსულში კარგი პრაქტიკა იყო ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი სპორტსმენების სტუმრობა რაიონებსა და სოფლებში. ამ ბოლო ხანებში ეს პრაქტიკა რატომღაც მივიწყებულ იქნა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სპორტული პრესისა და რადიოს ფედერაციების მუშაობას და თქვა, რომ რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები ოპერატიულად აშუქებენ სპორტულ ცხოვრებას, მაგრამ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებანი: ნაკლები ყურადღება ექცევა სპორტის იმ სახეობებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში სუსტადაა განვითარებული; იშვიათად, ან სრულიად არ გვხვდება წერილები ფიზკულტურული კოლექტივების, საზოგადოებების აქტივის მუშაობის საკითხებზე. ნაკლებად იბეჭდება ნარკვევები ჩვენს წამყვან სპორტსმენებზე.

მკითხველთა ფართო მოწონება დაიმსახურა გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოშვებულმა წიგნებმა და ბროშურებმა სერიიდან „გულშემატკივრის თანამგზავრი", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ გამოშვებულმა წიგნებმა საბჭოთა სპორტის ვეტერანებზე, აგრეთვე ზოგიერთმა ნაწარმოებმა „სპორტული მოთხრობების" სერიიდან. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ რომ გამოცემების ხარისხი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული სპორტული კინოსა და ტელეხედვის ფედერაციის მუშაობაში. სწორედ ფედერაციის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია ის, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის მიერ შექმნილმა ფილმებმა. არა მარტო რესპუბლიკის კინომაყურებლის აღიარება ჰპოვა, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში ხვდა მოწონება. საქართველოს ტელევიზიის მიერ მომზადებულმა მრავალმა სპორტულმა ნარკვევმა ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურა, ხოლო „ირმის ნახტომი" საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც კი გასცდა. წარმოუდგენელ ინერტულობას იჩენენ კინოსტუდია „ქართული ფილმის" შემოქმედებითი მუშაკები, სადაც რამდენიმე წელია გეგმაში არ ზის სპორტულ თემატიკაზე მხატვრული ფილმის შექმნა.

თვალსაჩინო პროპაგანდის ფედერაცია უფრო მეტი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს სპორტული ბაზების გაფორმების და თვალსაჩინო პროპაგანდის საქმეს. ხშირ შემთხვევაში სპორტული ბაზების გაფორმება სამეურნეო მუშაკების გემოვნებაზეა მინდობილი, რის შედეგადაც შეჯიბრების ადგილები ძალზე მდარედ გამოიყურება. თვალსაჩინო პროპაგანდის ფედერაციის მონაწილეობა ამ საქმეში გაცილებით უფრო აქტიური უნდა იყოს.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარემ **თ. ხომერიკმა** ილაპარაკა სპორტის მატიანის შექმნის საჭიროებაზე და თქვა, რომ საქართველოს სპორტულ დელეგაციებს ყველგან თან უნდა ახლდეს კინოოპერატორი, რომელიც მომავალ თაობას შემოუნახავს ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების სასიქადულო საქმეებს. კინოსტუდიისა და ტელევიზიის შემოქმედებით გეგმებში მეტი ადგილი უნდა დაეთმოს სპორტს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა **ა. ციბაძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს არც ერთ რაიონში არ დგას გაზეთების — „სოვეტსკი სპორტისა" და „ლელოს" სტენდები, არ არის მოწინავე სპორტსმენთა ფოტოსტენდები. გემოვნებითა და საქმის ცოდნით გაკეთებული სტენდები კი სპორტის პროპაგანდის მეტად მოქნილი საშუალებაა. სასურველია აგრეთვე, რომ საკავშირო რადიოს მსგავსად ჩვენი რესპუბლიკის რადიოც ყოველ დილით გადასცემდეს გაზეთ „ლელოს" მიმოხილვას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა **ნ. დუმბაძემ, გ. მერკვილაძემ, ბ. პაიჭაძემ,** კინოსტუდია „მოსფილმის" რეჟისორმა **ე. კარელოვმა,** თვალსაჩინო პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარემ **ჟ. მეძმარიაშვილმა,** ზესტაფონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ **ა. განუგრავამ,** ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციების საკავშირო ბიუროს პასუხისმგებელმა მდივანმა **ნ. ტარასოვამ,** ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფედერაციების რესპუბლიკური ბიუროს თავმჯდომარემ **ა. ზედგინიძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილემ **ჯ. ლომაშვილმა.**

პლენუმმა მიიღო დადგენილება.

**საქართველოს სპორტკავშირის II კონფერენციის მასალებიდან**




გუდაუთის საჭადრაკო კლუბი „აფხაზკურორტვაჭრობის" მეცადინეობით გადაკეთდა სპირტიანი სასმელების მაღაზიად. კულტურული დასვენების პუნქტი იქცა ლოთობისა და დებოშის ადგილად.

ნახ. გ. იაშვილისა.

# სპელეოლოგთა სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა აკადემიის პრეზიდიუმის სპელეოლოგთა კომისიის III სამეცნიერო სესია.

საინტერესო და შინაარსიანი მოხსენებებით გამოვიდნენ ზ. ტინტილოზოვი, თ. კიკნაძე, ა. ოქროჯანაშვილი, ვ. ჯიშკარიანი, გ. გიგინეიშვილი, ბ. გერგედავა და კ. მგელაძე. მომხსენებლებმა ილაპარაკეს დურიფშის პლატოს სპელეოლოგიის, კირქვებში კარსტულ სიღრუვეთა განვითარების ზოგიერთი კანონზომიერების, მდინარე მაანიკვარის აუზის სპელეოლოგიური დახასიათების, მიწისქვეშა სიღრუვეების აგეგმვის მეთოდებისა და სხვა საკითხებზე.

სხდომის დამთავრების შემდეგ სამეცნიერო სესიის მონაწილეებმა დიდი ინტერესით ნახეს სპელეოლოგიისადმი მიძღვნილი ფილმი „არაბიკა".

ჯ. ენდელაძე



აკაკი გეწაძე

ვიდრე მგლის მუხლი მომდევდა მთებში,
ვიდრე ვიყავი ფიცხი ჭაბუკი,
შემართული და გულდაუღლელი,
სულში მზესავით მენთო ოცნება,
რომ საქართველო მომევლო ფეხით,
მომევლო ყველა მთა და ბილიკი...
და საამისო დროც მქონდა მაშინ.
მერე ომის გზამ გამიყოლია,
შემომაჩეჩა ხელში შაშხანა.
ბევრი უცხო მთა გადავიარე,
გავცურე ბევრი უცხო მდინარე
და ბევრი უცხო ტალახი ვზილე.
შინ მოვბრუნდი და...
ათასგვარი გამიჩნდა საქმე,
სამოგზაუროდ ვიღას ეცალა!
ახლა კი რა ვქნა?
ძველებურად არ მომდევს მუხლი,
კვლავინდებურად არც ჯანი მერჩის
და დღეს ჩემ გულში, როგორც ნახშირი,
ძევს სიჭაბუკის დიდი ოცნება.
მე სინანულით ვიგონებ ხშირად,
რომ ბევრი ვზილე უცხო ტალახი,
საქართველო კი ვერ მოვიარე,
ვერ მოვიარე გულდაგულ ფეხით...
და თუ შვილები, ჩემი შვილები
გააცოცხლებენ მამის ოცნებას,
მე მომეხსნება გულიდან დარდი:
რომ ბევრი ვზილე უცხო ტალახი,
ხოლო მშობლიურ ქართულ მიწაზე
ვერ ვნახე ყველა მთა და ბილიკი.

# ფეხბურთის მოყვარულებს

გათამაშების ცხრილი
I ჯგუფი
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 23 მაისისათვის

## „ა“ კლასი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 10 | 5 | 4 | 1 | 12—4 | 14 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 10 | 5 | 2 | 3 | 11—4 | 12 |
| ს კ ა (როსტოვი) | 10 | 6 | 0 | 4 | 15—8 | 12 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 9 | 5 | 2 | 2 | 14—8 | 12 |
| „დინამო“ (თბილისი) | 10 | 5 | 2 | 3 | 14—9 | 12 |
| „დინამო“ (კიევი) | 10 | 3 | 5 | 2 | 9—8 | 11 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 11 | 3 | 5 | 3 | 8—11 | 11 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 10 | 3 | 4 | 3 | 10—10 | 10 |
| ც ს კ ა | 9 | 3 | 4 | 2 | 6—7 | 10 |
| „დინამო“ (მინსკი) | 8 | 3 | 3 | 2 | 6—5 | 9 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 10 | 2 | 5 | 3 | 4—7 | 9 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 10 | 2 | 5 | 3 | 6—11 | 9 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 8 | 3 | 2 | 3 | 11—8 | 8 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 10 | 3 | 2 | 5 | 4—9 | 8 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 9 | 2 | 2 | 5 | 10—12 | 6 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 11 | 2 | 2 | 7 | 5—18 | 6 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 9 | 1 | 3 | 5 | 6—12 | 5 |

* * *

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა 0:1

სკა (როსტოვი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 1:0

„ვოლგა“ (გორკი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო) 0:0

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კაირატი“ (ალმა-ატა) 0:2

## 3:0

21 მაისს დონეცკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შახტიორი“ და ქუთაისის „ტორპედო“.

მატჩი დაიწყო იმით, რომ ქუთაისელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. მეკარე ურუშაძემ შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეიტანა დამაჯერებლობა ტორპედოელთა თამაშში. „შახტაორმა“ ხელთ აიღო ინიციატივა და დიდი უპირატესობით ჩაატარა მატჩი.

დონეცკელებმა გაიმარჯვეს —3:0.

## ტურნირზე კასალე-მონფერატოში

იტალიის ქალაქ კასალე-მონფერატოში 27 მაისიდან 2 ივნისამდე ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ იტალიის, სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთისა და საფრანგეთის ახალგაზრდული გუნდები.

სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ბალიასნიკოვი, კრამარენკო; დაცვა — შებლიაკოვი, ივანოვი, კოვალენკო, ანტონევიჩი, უიტკუსი; ნახევარდაცვა — კუტივაძე, ბრუხტი, პოლიკარპოვი, გრიგორიევი; თავდასხმა — ავრუცკი, კონოვი, ფედოტოვი, ხმელნიცკი, პროდანეცი, შიმანოვიჩი.

გუნდის მწვრთნელია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სოკოლოვი.

## მატჩი კოპენჰაგენში

დანიის ფეხბურთის 75 წლისთავს მიეძღვნა საერთაშორისო მატჩი სკანდინავიისა და ევროპის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც 20 მაისს გაიმართა კოპენჰაგენის „იდრის-პარკის“ სტადიონზე. მიუხედავად განუწყვეტელი წვიმისა, მატჩს ესწრებოდა 50 ათასი მაყურებელი.

ცნობილ „ვარსკვლავთაგან“ შემდგარმა ევროპის ნაკრებმა აჩვენა თამაშის მაღალი კლასი და, რაც მთავარია, კოლექტიური, შეთანხმებული თამაში. ანგარიში გაიხსნა უკვე მატჩის დასაწყისშივე ჩარლტონისა და გრივსის სწრაფი კომბინაციის შედეგად. ტაიმის დასასრულს იმავე გრივსმა მეორე ბურთი გაგზავნა სკანდინაველთა კარში.

მეორე ტაიმში ორივე გუნდის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები; კერძოდ, იაშინის ნაცვლად ევროპის ნაკრების კარში ჩადგა ტილკოვსკი (გფრ). კონტინენტის ნაკრებმა (ლოუ და ეუსებიო) კიდევ 2 გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში, რასაც სკანდინაველებმა ასევე 2 გოლით უპასუხეს (პელტონენი და ბილდი).

მატჩი მოიგო ევროპის ნაკრებმა — 4:2.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს (შემადგენლობანი ნაჩვენებია მეორე ტაიმში მომხდარი ცვლილებებით): ევროპა — იაშინი (სსრ კავშირი), ტილკოვსკი (გფრ), ვილსონი (ინგლისი), პოპლუჰარი, ბომბა (ჩეხოსლოვაკია), ვორონინი (სსრ კავშირი), ბექსტერი (შოტლანდია), აუგუსტო, ეუსებიო (პორტუგალია), გრივსი (ინგლისი), ვან ჰიმსტი (ბელგია), ლოუ (შოტლანდია), ჩარლტონი (ინგლისი); სკანდინავია — ანდერსენი (ნორვეგია), ი. ჰანსენი (დანია), იუჰანსონი, როზანდერი (შვეცია), პატერსენი ბ. ჰანსენი (დანია), ჰელნონენი (ფინეთი), ენსენი (ნორვეგია), ობერგი (შვეცია), მატსენი (დანია), ბილდი (შვეცია), პელტონენი (ფინეთი), ბერტერსენი (დანია).

## მოზარდთა შორის

გრძელდება საკავშირო გათამაშება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებულ მოზარდთა გუნდებს შორის ჩვენი რესპუბლიკის ზონაში.

ფრედ დამთავრდა ორი მატჩი: „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:0.

რუსთავის „მეტალურგმა“ საკუთარ მინდორზე ანგარიშით 4:1 დაამარცხა გურჯაანის „ალაზანი“. ფოთის „კოლხიდამ“ 6 „მშრალი“ ბურთი გაიტანა გაგრის გუნდის კარში.

## „ბ“ კლასი

სსრ კავშირის პირველობა

რსფსრ-ს IV ზონა

**„დინამო“ (სოხუმი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 1 : 0**

21 მაისს სოხუმში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში რსფსრ-ს „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის, ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს კიროვაკანის „ლორი“.

მინდორი ხანგრძლივი წვიმის შედეგად გუბეებით იყო დაფარული. ფეხბურთელებს უჭირდათ ბურთის დამუშავება და მაღალი ტემპის გავითარება. სტუმრებმა მეტოქის იერიშებს დაუპირისპირეს გაძლიერებული დაცვა, რომლის პირობებში გადამწყვეტი დარტყმის შესრულება კარში რთულ საქმეს წარმოადგენდა. და მაინც „დინამოს“ ფორვარდებს ჰქონდათ რამდენიმე შესაძლებლობა წარმატებით დაემთავრებინათ თავიანთი შეტევები.

მაგრამ ის, რაც ვერ შეძლეს ფორვარდებმა, გააკეთა ნახევარმცველმა. „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელმა ზარიამ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და დაახლოებით 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ბურთი „ლორის“ კარში გაგზავნა.

სოხუმელთა უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი გახდა მეორე ტაიმში, მაგრამ მას შედეგი არ მოყოლია. გუნდი დასჯერდა თავისი ნახევარმცველის მიერ გატანილ ერთადერთ გოლს, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მ. თურქია

**„დინამო“ (ბათუმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0 : 0**

ბათუმელმა ფეხბურთელებმა განვლილ 4 ტურში 6 ქულა დააგროვეს, ხოლო „შირაქი“ 5 ქულით, მათ უახლოეს მეზობლობაში იმყოფებოდა. ამიტომ მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის.

ბათუმელებმა კარგად ჩაატარეს თამაში. გუნდი საფუძვლიანად ფლობდა ინიციატივას, მაგრამ უპირატესობის რეალიზაცია დინამოელებმა ვერ შეძლეს. პირველი ტაიმი დამთავრდა ისე, რომ მასპინძელთა კართან იშვიათად იქმნებოდა საგოლო მომენტები მაშინ, როცა „შირაქის“ მეკარე არა ერთხელ იმყოფებოდა აშკარა ხიფათის წინაშე.

წარმატებით იცავდნენ თავს ლენინაკანელები მეორე ტაიმშიც. კარგი მომენტები დაკარგეს ფუტკარაძემ და რამიშვილმა. 82-ე წუთზე ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა „შირაქსაც“, მაგრამ მეკარე კვაჭაძემ შეძლო ძნელი ბურთის აღება.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ვ. მოსეშვილი
ო. მურვანიძე

**„კოლხიდა“ (ფოთი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 3 : 0**

ფოთელმა ფეხბურთელებმა ამ მატჩში აჩვენეს კოლექტიური, შეთანხმებული თამაში. სტუმრებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ორგანიზებული დაცვა, როცა კუჭუხიძე გავიდა რამდენიმე მცველს შორის, სწრაფად გადასცა ბურთი ალმასიას, რომელმაც გახსნა ანგარიში — 1:0.

„კოლხიდის“ თავდამსხმელები განაგრძობდნენ იერიშებს და მე-40 წუთზე ადამიამ თითქმის მინდვრის ცენტრიდან ძლიერი დარტყმით მეორედ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

მეორე ტაიმის 35-ე წუთზე ფოთელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს: გვაზავამ მიიღო ალმასიას გადაცემა და მესამე ბურთი გაგზავნა „ლერნაგორცის“ კარში.

ფოთის გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ძიძიგური — ტერეშჩენკო, მაჭავარიანი, ცაგარეიშვილი, ადამია — ლაზარევი, გვაზავა — ვერბიცკი, ვარდანიანი, კუჭუხიძე, ალმასია.

ა. ლომაია

• • •

გასვლითი მატჩები ჰქონდათ ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა გუნდებს. გურჯაანის „ალაზანი“ ორჯონიკიძეში შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“ და ფრედ დაამთავრა მატჩი — 0:0.

ნალჩიკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და რუსთავის „მეტალურგი“. მატჩის შედეგია 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.




გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

„განთიადი“ (ბათუმი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

მასპინძლებს მცირე ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ პირველ ტაიმში, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 4:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ლანჩხუთელთა უპირატესობა საგრძნობი იყო მთელი მატჩის განმავლობაში. მართალია, პირველ ტაიმში მათს იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ამ უპირატესობის სრული რეალიზაცია მოხდა მეორე ტაიმში — 4:1.

„შუქურა“ (ქობულეთი) — „ცისკარი“ (ცხაკაია) 1:2. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

ქობულეთელი ფეხბურთელები სწრაფ ტემპში, დამაჯერებლად თამაშობდნენ პირველ ტაიმში, რომელიც მათ მოიგეს ანგარიშით 1:0. შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მთლიანად შეიცვალა: „ცისკარმა“ სრული გარდატეხა შეიტანა მატჩის მსვლელობაში და მიაღწია გამარჯვებას — 2:1.

„დილა“ (გორი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

მასპინძელთა თავდამსხმელები ნახევარდაცვის აქტიური მხარდაჭერით ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს „განთიადის“ კართან. გორელებმა 36-ე წუთზე გაიტანეს ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი.

„მერცხალი“ (მახარაძე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მატჩი ჩატარდა საინტერესო ბრძოლაში. ანგარიში გახსნეს თბილისელებმა. მასპინძლებმა ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გაქვითეს გოლი, შესვენების შემდეგ კი სტუდენტთა გუნდის ერთ-ერთმა მცველმა საკუთარ კარში ჩაჰრა ბურთი, რომელმაც მის გუნდს მოუტანა დამარცხება — 1:2.

„მესხეთი“ (ახალციხე) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:2. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

რკინიგზელთა ერთ-ერთი იერიშისას „მესხეთის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ სტუმრებმა ვერ შეძლეს მისი გამოყენება. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მატჩის შემდგომ მსვლელობაზე და ახალციხელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 3:2.

„სინათლე“ (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი და 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ.

„მეშახტე“ (ტყიბული) — „ინგურჰესი“ (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

ნაწვიმარი „დამძიმებული“ მინდორი საგრძნობლად უშლიდა ხელს მოთამაშეებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მატჩი საკმაოდ მაღალ ტემპში, ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

„დინამო“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:2. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

ქუთაისელი ფეხბურთელები თავიდანვე მეტი ენერგიითა და მონდომებით მოქმედებდნენ და, მიუხედავად ამისა, პირველი ბურთი სწორედ მათს კარში იქნა გატანილი. საპასუხო გოლი „დინამომ“ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაიტანა, მაგრამ არ გასულა მცირე ხანი და „მეტალურგი“ კვლავ წინ აღმოჩნდა, — 2:1. შემდგომში მასპინძლები ხშირად უტევდნენ კარს, სადაც არადამაჯერებლად იდგა „მეტალურგის“ მეკარე. ქუთაისელებმა გამოიყენეს მისი შეცდომები, გაიტანეს 2 გოლი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

ქუთაისში ჩატარდა აგრეთვე გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს შორის. პირველ ტაიმში გატანილი ბურთის მეოხებით ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს გამარჯვება.

* * *

მოგვყავს II ქვეჯგუფის გუნდებს შორის ჩატარებულ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: სკა (თბილისი) — „სამეგრელო“ (ზუგდიდი) 1:3, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ისანი“ (თბილისი) 1:0, „შახტმშენი“ (მარნეული) — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 1:0, „მექანიზატორი“ (ფოთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კახეთი“ (ველისციხე) 8:0, „წინსვლა“ (წულუკიძე) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 1:2.

## გათამაშების ცხრილები

I ქვეჯგუფი
მდგომარეობა 20 მაისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია“ ლანჩხუთი | 8 | 5 | 3 | 0 | 14—3 | 13 |
| „ენგურჰესი“ ზუგდიდი | 8 | 4 | 4 | 0 | 11—3 | 12 |
| „დილა“ გორი | 8 | 5 | 2 | 1 | 13—6 | 12 |
| „ცისკარი“ ცხაკაია | 8 | 4 | 4 | 0 | 7—2 | 12 |
| სას. სამ. ინსტ. თბილისი | 8 | 4 | 3 | 1 | 17—9 | 11 |
| „მეშახტე“ ტყიბული | 8 | 4 | 2 | 2 | 7—6 | 10 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 8 | 5 | 0 | 3 | 10—10 | 10 |
| „მერცხალი“ მახარაძე | 8 | 3 | 3 | 2 | 9—5 | 9 |
| „შუქურა“ ქობულეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 9—7 | 9 |
| „მეტალურგი“ ზესტაფონი | 8 | 2 | 4 | 2 | 5—5 | 8 |
| ფიზ. ინსტ. თბილისი | 8 | 2 | 3 | 3 | 7—7 | 7 |
| „დინამო“ ქუთაისი | 8 | 3 | 1 | 4 | 11—14 | 7 |
| „შახტიორი“ ტყვარჩელი | 8 | 3 | 0 | 5 | 7—10 | 6 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 8 | 1 | 2 | 5 | 10—17 | 4 |
| „განთიადი“ ბორჯომი | 8 | 1 | 2 | 5 | 5—11 | 4 |
| „სინათლე“ თბილისი | 8 | 0 | 4 | 4 | 5—13 | 4 |
| „განთიადი“ ბათუმი | 8 | 0 | 3 | 5 | 3—10 | 3 |
| „მაღაროელი“ ჭიათურა | 8 | 0 | 3 | 5 | 5—16 | 3 |

II ქვეჯგუფი
მდგომარეობა 20 მაისისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ ზუგდიდი | 7 | 6 | 1 | 0 | 10—7 | 13 |
| „შახტმშენი“ მარნეული | 7 | 5 | 1 | 1 | 9—5 | 11 |
| „წინსვლა“ წულუკიძე | 7 | 4 | 2 | 1 | 11—5 | 10 |
| „სპარტაკი“ ცხინვალი | 7 | 3 | 4 | 0 | 7—4 | 10 |
| „ბახმარო“ ჩოხატაური | 7 | 4 | 1 | 2 | 13—7 | 9 |
| „მექანიზატორი“ ფოთი | 7 | 4 | 1 | 2 | 11—6 | 9 |
| „მეტალურგი“ რუსთავი | 7 | 3 | 3 | 1 | 7—5 | 9 |
| სახ. უნივერს. თბილისი | 7 | 3 | 1 | 3 | 4—5 | 7 |
| „სალხინო“ გეგეჭკორი | 7 | 2 | 2 | 3 | 18—13 | 6 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 7 | 2 | 2 | 3 | 5—6 | 6 |
| „ნადიკვარი“ თელავი | 7 | 2 | 2 | 3 | 5—9 | 6 |
| „ისანი“ თბილისი | 7 | 2 | 0 | 5 | 5—7 | 4 |
| სკა თბილისი | 7 | 1 | 2 | 4 | 8—12 | 4 |
| „საირმე“ მაიაკოვსკი | 7 | 2 | 0 | 5 | 4—12 | 4 |
| „კახეთი“ ველისციხე | 7 | 1 | 1 | 5 | 5—18 | 3 |
| „დინამო“ სოხუმი | 7 | 0 | 1 | 6 | 2—9 | 1 |



# ფინალის საგზურებისათვის

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 70 სპორტსმენი მონაწილეობს. პირველი დღის შეხვედრებიდან აღნიშვნის ღირსია ქუთაისელ ზ. მაჭავარიანისა და ა. შულგას (ლვოვი) ორთაბრძოლა.

ქუთაისელმა სპორტსმენმა ბრძოლა ფრთხილად დაიწყო და პირველი რაუნდი, ფაქტიურად მეტოქის შესწავლას მოანდომა. სამაგიეროდ. მეორე და მესამე რაუნდებში მან ისეთი მძაფრი შეტევები განავითარა. რომ შულგა იძულებული გახდა ყრუ დაცვაზე გადასულიყო.

გამარჯვება ერთხმად ზ. მაჭავარიანს მიეკუთვნა.

თბილისელი მაყურებელი დიდი მოუთმენლობით ელოდა თავისი თანამემამულის ნ. ქიქავას რინგზე გამოჩენას. პირველ დღეს მისი მეტოქე მოსკოველი ს. ოკატოვი იყო. პირველი რაუნდი ქიქავამ მოიგო. ორ მომდევნო რაუნდში ქართველ მოკრივეს ფიზიკურმა მომზადებამ უმტყუნა. მან დათმო ინიციატივა, რისთვისაც მწარედ დაისაჯა. ნ. ქიქავამ წააგო ბრძოლა და გამოეთიშა შეჯიბრებას.

ჩემპიონატის პირველ დღეს საქართველოს მოკრივეთა მონაწილეობით კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. გ. ვარდანიანმა მესამე რაუნდში აშკარა უპირატესობით მოუგო ვ. რილოვს (ყაზანი), ხოლო ვ. ლიაშჩენკო დამარცხდა ა. სოკოლოვთან (მოსკოვი).

გაიმართა სხვა შეხვედრებიც.

ე. ქელბაქიანი

ს უ რ ა თ ზ ე: ზ. მაჭავარიანისა და ა. შულგას შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ტ ა შ კ ე ნ ტ შ ი დამთავრდა სსრ კავშირის პირადი პირველობის შერჩევითი შეჯიბრება ძალოსნობაში. ქვემძიმე წონის ძალოსანთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი გ. მიმინოშვილი. მან აჭიმვაში 145 კილოგრამი დაძლია, რაც 5 კილოგრამით აღემატება საქართველოს ძველ რეკორდს, სამჭიდში კი 427,5 კილოგრამი დააგროვა, რაც 2,5 კილოგრამით უმჯობესია კ. ბაზაძის რესპუბლიკურ რეკორდზე.

ს უ რ ა თ ზ ე: გ. მიმინოშვილი ფიცარნაგზე.

ფოტო ი. იუნაევისა.

# უნიკალური მსოფლიო რეკორდი

ეს მოხდა მოსკოვის გარე ერთ-ერთ აეროდრომზე. მფრინავთა შორის ატყდა კამათი: დღე-ღამის განმავლობაში რამდენჯერ შეიძლება პარაშუტით გადმოხტომა? უმრავლესობის აზრით, — სამ-ოთხჯერ. დავის გადაწყვეტა ითავა 30 წლის აკაკი გამრეკელაშვილმა.

...სიმაღლე 500 მეტრია. გამრეკელაშვილმა შეასრულა ნახტომი. შემდეგ კიდევ ერთი, მეორე, მესამე... გამოცდილ პარაშუტისტებს — მედესანტეებსაც კი არ ახსოვთ მსგავსი რამ, მფრინავი უკვე მეორმოცედ ტოვებს აეროსტრატის გონდოლას. 6 საათის შემდეგ ქრონომეტრისტმა 63-ე ნახტომი აღნიშნა. ჩამოწოლილი ბინდის გამო ხტომის სიმაღლე 150 მეტრამდე შემცირდა.

94 ნახტომი — 9 საათსა და 2 წუთში. ეს უნიკალური მსოფლიო რეკორდი, რომელიც 20 წლის წინ დამყარდა, დღესაც სპორტის ოსტატ ა. გამრეკელაშვილს ეკუთვნის.

„ნედელია“ № 20, 1964 წ.

# იგივე შეხვედრები, იგივე შედეგი

ბიბლიოთეკა

მოსკოვი, 22 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). გასულ წლებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა წამყვანი გუნდების თამაშის კლასი ძალიან ამაღლდა. თუ წინათ, საკავშირო ტურნირებში ჩემპიონის სახელისათვის უმთავრესად მოსკოვის „დინამოსა“ და მეზღვაურთა ცენტრალური სპორტკლუბის გუნდები, აგრეთვე თბილისის დინამოელები იბრძოდნენ, მიმდინარე ასპარეზობაში მაღალი ადგილების მსურველთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ახალგაზრდა მოთამაშეებით დაკომპლექტებული კოლექტივები არ უშინდებიან უმაღლესი რანგის გუნდებს და მხოლოდ დაძაბული ბრძოლების შემდეგ უთმობენ მათ ერთ, ან ორ ქულას.

წინა ჩემპიონატებში ჩვენი წყალბურთელებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა მოსკოვის ავტოქარხნელთა გუნდთან გამარჯვება. ასე იყო ამ ცოტა ხნის წინათაც. საკავშირო პირველობის მეორე ტურში, როცა დინამოელებმა ავტოქარხნელები დაამარცხეს — 2:0. და აი, გუშინ, ეს კოლექტივები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. მოსკოვის უნივერსიტეტთან მარცხის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ დინამოელები გაითვალისწინებდნენ ადრე დაშვებულ შეცდომებს და გაიმარჯვებდნენ ახალგაზრდულ გუნდთან ბრძოლაში.

მატჩი ჩვენი წყალბურთელების აშკარა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ პირველ 5 წუთს შედეგი არ მოყოლია: დინამოელთა შეტევას მეტოქის კარის სიახლოვეს აკლდა სიმწვავე და ორგანიზებულობა. ეს იგრძნეს მოსკოველებმა და გაბედულ კონტრიერიშებზე გადავიდნენ. მათ მაღალი ტემპი შეთავაზეს ჩვენებს. ასეთმა ტაქტიკამ მალე სასურველი შედეგიც გამოიღო. ერთ-ერთ მომენტში, როცა თბილისის წყალბურთელთა უმრავლესობა მოწინააღმდეგის კარის იერიშებით იყო გართული, ავტოქარხნელებმა წამოიწყეს კონტრიერიში, მარტივი კომბინაცია გაითამაშეს და ნიკიტინმა გახსნა ანგარიში — 1:0. სულ მალე კოზლოვმა მეორედ შეარხია თბილისელთა კარის ბადე.

მესამე პერიოდში ყველას ეგონა, რომ „დინამო“ ახლა მაინც გამოავლენდა მთელ თავის ძალას, გამოცდილებას და მარცხს თავს დააღწევდა, მაგრამ მოხდა პირიქით. მაშინაც კი, როცა „დინამომ“ რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა, ბურთი მის კარში აღმოჩნდა — 3:0.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ჩვენებმა „ტორპედოს“ კარის ნამდვილი შტურმი. ჯერ იყო და მიმინოშვილმა ზუსტად ტყორცნა 4-მეტრიანი საჯარიმო, შემდეგ რომანოვმა გაიტანა მეორე ბურთი. უკანასკნელი პერიოდის პირველ წუთზე მიმინოშვილმა ანგარიში გაათანაბრა — 3:3 და როცა ყველას ეგონა, რომ თბილისელები ერთ ქულას არ დაჯერდებოდნენ, გუნდმა თავის კარში მიიღო მეოთხე, გადამწყვეტი ბურთი.

გამარჯვა „ტორპედომ“ — 4:3.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი) — კკფ (ბაქო) — 2:1, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — მეზღვაურთა ცენტრალური სპორტკლუბი — 2:2. წინა ღამით გამართული მატჩი — მეზღვაურთა ცენტრალურ სპორტკლუბისა და ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდს შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

ზ. ჯაფარიძე

# მ. ტალი ზედიზედ სწირავს ფიგურებს

საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის მეორე ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტალისა და უნგრელი პორტიშის პარტია. საბჭოთა დიდოსტატმა თამაში მისთვის ჩვეული აგრესიული სტილით დაიწყო და თავშივე მეტოქეს ფიგურა შეწირა. ცოტა ხნის შემდეგ ტალი არც ამას „დაჯერდა“, მეტოქეს შეწირა ეტლი და, ბოლოს, კვლავ ფიგურა. დაფაზე შეიქმნა ძალზე დაძაბული მდგომარეობა. ორივე მეფე სახიფათო მუქარების ქვეშ აღმოჩნდა. და აი, პორტიში, რომელსაც ზედმეტი ეტლი ჰყავდა, უმძიმეს ცაიტნოტში მოხვდა და იძულებული იყო ყაიმს დაჯერებოდა.

მსოფლიოს მეორე ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა ბრწყინვალედ დაამარცხა გფრ-ის წარმომადგენელი დარგა. სპასკიმ მოუგო ტრინგოვს, პახმანმა — კვინონესს, რეშევსკიმ — ბერგერს, პერესმა — ვრანეშიჩს, ლარსენმა — ფოგელმანს, ბრონშტეინმა — შტეინს, გლიგორიჩმა — როსეტოს.

ყაიმით დამთავრდა პარტიები ბილეკი — ლენდიელი, ბენკო — ევანსი, პორატი — ივკოვი.

ორი ტურის შემდეგ სმისლოვს 2 ქულა აქვს.

# ტოკიო — 1964 ლონდონი — 1966

ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ძალები კონცენტრირებულია ორი მიზნის განხორციელებისაკენ: ესაა მზადება ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისა და ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ოლიმპიურ ნაკრებში, რომელსაც რ. ვიტლაჩილი წვრთნის, დღეისთვის თავმოყრილია ყველა წამყვანი ახალგაზრდა ფეხბურთელი. ჩეხები დარწმუნებულნი არიან, რომ მათს ნაკრებს გარანტირებული აქვს საფინალო ადგილი ტოკიოში. მართლაც, მათ ვენაში საკმაოდ იოლად სძლიეს ავსტრიის ოლიმპიურ ნაკრებს — 3:1.

გუნდს ჰყავს ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები: ნახევარმცველი გელეტა, თავდამსხმელი ცვეტლერი და სხვანი.

მიმომხილველთა აზრით, ჩეხოსლოვაკელთა თავდასხმის შედეგიანობა კიდევ უფრო გაიზრდება მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგება ცნობილი ბომბარდირი კუჩერა, რომელიც კარგა ხანს არ თამაშობდა ტრავმის გამო...

ფლორენციაში იტალიის ნაკრებთან ფრემ (0:0) და ლუდვიგჰაფენში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან გამარჯვებამ (4:3) დიდად გაამხნევა ჩეხი გულშემატკივრები, რომლებიც შარშანდელი სუსტად ჩატარებული სეზონის შემდეგ თავიანთი ნაკრებისადმი ერთობ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

დ ღ ე ს!

სტუდენტთა III საზაფხულო რესპუბლიკური თამაშების

საზეიმო გახსნა

პ რ ო გ რ ა მ ა შ ი ა:

შეჯიბრება მძლეოსნობაში; ფეხბურთი — „დინამო“ (თბილისი) სათადარიგო შემადგენლობა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები; საბჭოთა კავშირის გმირის, პოდპოლკოვნიკ ა. ხუხრინის ხელმძღვანელობით მოეწყობა ინდივიდუალური და ჯგუფური ხტომები პარაშუტებით.

დასაწყისი 16 საათზე.

# მშვიდობის ველორბოლა

მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლის XI ეტაპის (კარლოვი ვარი—ლიბერეცი) სიგრძე 218 კილომეტრი იყო. ბელგიელმა ი. სპრუტმა დისტანცია მეტად მაღალ ტემპში გაიარა. ფინიშთან უახლოეს კონკურენტს მან 2,3 წამი მოუგო.

მეორე ადგილი დაიკავა პოლონელმა ზელინსკიმ, ხოლო მესამე — რბოლის ერთპიროვნულმა ლიდერმა სმოლიკმა.

საბჭოთა სპორტსმენები ძირითად ჯგუფში იმყოფებოდნენ (კულიბინი — მე-5, კაპიტონოვი — მე-6, ხოლო ჩერეპოვიჩი — მე-9 ადგილებზე).

11 ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს გდრ-ის კოლექტივი 106:43.31.

პირად ჩათვლაში ა. სმოლიკი კვლავ ლიდერად რჩება—34:48.06.

# ოლიმპიური მატჩები

ლიმაში ჩატარდა ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის შერჩევითი მატჩები. არგენტინის გუნდმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა ურუგვაის ოლიმპიური ნაკრები, ხოლო კოლუმბიამ მოუგო ეკვადორს — 4:1.

# ი. ბალაში შედის ფორმაში

ტოკიოს ოლიმპიადაზე გამარჯვების სურვილმა ინტენსიური წვრთნა დააწყებინა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენს ი. ბალაშს (რუმინეთი). შესანიშნავმა სპორტსმენმა მალე აღიდგინა კიდეც ფორმა — გადალახა 188 სმ, რაც 3 სანტიმეტრით ნაკლებია მისსავე რეკორდზე.

ტოკიოში საპრიზო ადგილის მოპოების შანსები გამოუჩნდა პოლონელ ე. ჩერნიკს. მან ვარშავაში გამართულ შეჯიბრებაზე ადვილად დაძლია 215 სმ სიმაღლეზე მდებარე თამასა. ევროპაში სეზონში საუკეთესო შედეგი (6,26 მეტრი) აჩვენა დასავლეთგერმანელმა სიგრძეზე მხტომელმა ჰ. ჰოფმანმა. ახლა იგი ტ. შჩელკანოვას ძირითად კონკურენტად ითვლება.

ინგლისელმა სიმაღლეზე მხტომელმა მილერმა დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი — 2,08 მ. ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში საფრანგეთის რეკორდი გააუმჯობესა ა. ლეფევრმა. მან აჩვენა 7,79 მ.

# ბულგარეთის ტურნირის პრიზიორები

როგორც ცნობილია, საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები (თავისუფალ ჭიდაობაში) ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირში წარუმატებლად გამოვიდა. ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი. ქვემოთ ვაქვეყნებთ ტურნირის პრიზიორთა სიას.

**უმჩატესი** — 1. მალოვი, 2. ბაევი (ორივენი — ბულგარეთიდან), 3. გაჩეჩილაძე (საქართველო).

**მჩატე** — 1. გეორგიევი (ბულგარეთი), 2. ვარგა (უნგრეთი), 3. მარინკოვი (იუგოსლავია).

**ქვემსუბუქი** — 1. ჩერვენკოვი (ბულგარეთი), 2. ქარსაულიძე (საქართველო), 3. ტოდოროვი (ბულგარეთი).

**მსუბუქი** — 1. ვილჩევი, 2. მარინოვი (ორივენი ბულგარეთიდან), 3. ბერიაშვილი (საქართველო).

**ქვესაშუალო** — 1. ალიევი, 2. დერმენჯიევი (ორივენი ბულგა რ ე თ ი დ ა ნ), 3. ჟივჩიკი (პოლონეთი), 4. სალარაძე (საქართველო).

**საშუალო** — 1. გარჯევი (ბულგარეთი), 2. ლომიძე (საქართველო), 3. ხოლოში (უნგრეთი).

**ქვემძიმე** — 1. მუსტაფოვი (ბულგარეთი), 2. სტენკუ (რუმინეთი), 3. გოგიბედაშვილი (საქართველო).

**მძიმე** — 1. ხითარიშვილი (საქართველო), 2. ახმედოვი (ბულგარეთი), 3. რეზნიკი (უნგრეთი).

* * *



გურამ სალარაძე
მეგობრული შარჟი გაზეთ „ნაროდენ სპორტიდან“ (ბულგარეთი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დ ე პ ე შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.